კონსტიტუციის ენობრივ-სტილისტური საკითხები და თარგმნის პრობლემა
(ამერიკის კონსტიტუციის ქართული თარგმანის საფუძველზე)

რუსუდან ანანიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა იურიდიული და სოციალური დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი (ინგლისური ენა, პირველი/ძირითადი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

რუსუდან ანანიაშვილი

29.06.2022

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება კონსტიტუციის ენობრივ-სტილისტურ ასპექტებს და თარგმნის პრობლემატიკას, რომელსაც ვაანალიზებთ ამერიკის კონსტიტუციის ქართულენოვანი თარგმანის საფუძველზე.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ლინგვისტურ ანალიზსა და თარგმნის მეთოდებს. საკვლევი კორპუსის დაშლის შედეგად გაკეთდა ქართულ ენაზე არსებული ოფიციალური თარგმანის ლინგვისტური ანალიზი, აღმოჩნდა ლექსიკურ-სტილისტური ხარვეზები და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოხსენებული იურიდიული დოკუმენტის მთარგმნელები იზიარებენ იელის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორის, დარგის ცნობილი მკვლევარის, ლავრეს ლესიგის მოსაზრებებს და თვლიან, რომ მთავარ ამოცანას წარმოადგენს თარგმნის პროცესში უხეში ექვივალენტობის მიღწევა ისე, რომ შენარჩუნდეს ტექსტის ძირითადი მიზანი, ფუნქცია და ფორმა. აღნიშნული არ მოითხოვს თავდაპირველი სემანტიკური მნიშვნელობის ან საკომუნიკაციო შინაარსის უცვლელობას.

ამ უკანასკნელს არ ეთანხმება მთარგმნელთა ის ნაწილი, რომელიც თავს „ორიგინალისტებად“ ან „ტექსტუალისტებად“ მიიჩნევს. ისინი თვლიან, რომ საჭიროა ვუერთგულოთ ტექსტის თავდაპირველ ნიმუშს.

საკვანძო სიტყვები: ამერიკის კონსტიტუცია, თარგმანი, კონსტიტუციის ენობრივ-სტილისტური საკითხები

Abstract

Given paper devoted to the linguistic-stylistic aspects of the Constitution and the problems of translation, which we analyze based on the Georgian translation of the American

Constitution.

The methodology is based on linguistic analysis and translation methods. As a result of the dismantling of the research building, a linguistic analysis of the official translation into Georgian was carried out, deficiencies were identified and relevant recommendations were developed.

Based on the results obtained, we can assume that the translators of the mentioned legal document share the views of Lawrence Lessig, Professor of Law at Yale University, a well-known professional in the field. They believe that the main task in the translation process is to achieve gross equivalence, to maintain the main purpose, function, and form of the text.

The above-mentioned does not require retention of the original semantic or communicative content. The part of translators who consider themselves "originalists" or "textualists" do not agree with the given thesis, they think that it is necessary to adhere to the original communicative content of the text.

Keywords:American Constitution, Translation, linguistic-stylistic issues of the Constitution

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გაწეული განსაკუთრებული დახმარებისთვის გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს. მისი ადამიანური და პროფესიული მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით შესრულებისთვის. ქალბატონმა სალომემ გამოყენებითი უცხო ენების მიმართულებით დაინტერესებულ სტუდენტებს სიღრმისეულად შეგვასწავლა არა მხოლოდ იურიდიული, არამედ ეკონომიკური და პოლიტიკური დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი. ყოველი მისი ლექცია უაღრესად ინფორმაციული, პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებული იყო. მისი დახმარებით მივიღეთ უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რომელიც ესოდენ აუცილებელია ლინგვისტიკის სფეროში ნაყოფიერი საქმიანობისთვის. სწორედაც რომ გამომუშავებულმა უნარებმა და მიღებულმა ამომწურავმა ინფორმაციამ განაპირობა წინამდებარე ნაშრომის შესრულება.